საქართველოს მელიორაცია
GEORGIAN AMELIORATION
+995 032 00 10 00
info@ag.ge
www.ag.ge

N გ-14800
28/11/2024

14800-გ-2-202411281019

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს გარემოსდაცვითი შეფასების დეპარტამენტის უფროსს ქალბატონ ვენერა მეტრეველს

ქალბატონო ვენერა,

შპს ,,საქართველოს მელიორაციამ“ (შემდგომში კომპანია) განიხილა თქვენი 2024 წლის 22 ნოემბრის N21/11965 წერილი და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება შპს „გრინკუბის“ მიერ გზშ-ის საჭიროების დადგენის მიზნით წარმოდგენილ, მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ქსოვრისში, სასათბურე მეურნეობის გასათბობად მეორადი ზეთების გამოყენების (ნარჩენების აღდგენა) სკრინინგის ანგარიშთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების მოწოდებას.

სკრინინგის ანგარიშის მიხედვით, საწარმოს ფუნქციონირებისას ჩამდინარე წყლების წარმოქმნა მოსალოდნელი არ არის. ამასთან, საწვავის ავარიული დაღვრის შემთხვევაში, დაღვრილი საწვავი მოხვდება სპეციალურ ავზში, საიდანაც მოხდება მისი ხელმეორე გამოყენება. ამასთან, უნებლიედ დაღვრილი საწვავის გავრცელების შესაკავებლად, რეზერვუარის გარშემო დაგეგმილია 0,5 მ სიმაღლის ბარიერის მოწყობა (კედელი). სამეურნეო–საყოფაცხოვრებო წყლების შესაგროვებლად მოეწყობა წყალგაუმტარი ორმო, საიდანაც წყლების გატანა და ქ. მცხეთის გამწმენდ ნაგებობაში ჩაშვება მოხდება შესაბამისი ნებართვის საფუძველზე. ამრიგად, სკრინინგის ანგარიშის მიხედვით დაბინძურებული და სამეურნეო–საყოფაცხოვრებო წყლების ჩაშვება ზედაპირული წყლის ობიექტში ან სამელიორაციო არხში არ იგეგმება.

სკრინინგის წარმოდგენილ ანგარიშში აღნიშნულია, რომ ,,საქვაბის ფუნქცონირებისას წყლის რესურსების გამოყენება არ იგეგმება. რაც შეეხება სათბურისათვის მოსარწყავად გამოყენებული საწარმო მოიხმარს სოფლის არსებული სარწყავი სისტემიდან აღებულ წყალს, ხოლო საყოფაცხოვრობო დანიშნულებით იყენებს სოფლის ცენტრალური წყალმომარაგების სისტემიდან მიღებულ წყალს“.

Shp-ების განხილვისას გამოვლინდა, რომ საწარმოს სიახლოვეს, მისგან 50 მეტრში მდებარებს კომპანიის კაპიტალში რიცხული თელოვანი 2 სარწყავი სისტემის გამანაწილებელი არხი, საიდანაც სავარაუდოდ წყლის აღებას აპირებს

საწარმო სათბურის მოსარწყავად. ასეთ შემთხვევაში აუცილებელი იქნება საწარმომ შესაბამისი ხელშეკრულება გააფორმოს კომპანიის დაქვემდებარების საგურამო-მუხრანის სერვის ცენტრთან.

სხვა შენიშვნები და მოსაზრებები შპს „გრინკუბის“ მიერ წარმოდგენილ სკრინინგის ანგარიშთან დაკავშირებით არ გაგვაჩნია.

პატივისცემით,

გიორგი ხუბუა

ექსპლუატაციის დირექტორი

https://edocument.ge/mea/public/#/14800-გ-2-202411281019

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE